ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 104

ქ. თბილისი 26 აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (ს/კ 230869254) (შემდგომში "**შემსყიდველი**"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის **ერეკლე კუხიანიძის** სახით და მეორეს მხრივ **სს „ელიტ ელექტრონიქსი"** (ს/კ 202268928) (შემდგომში "**მიმწოდებელი**"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **ლადო ჯობავას** სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: საკუთრების უფლების აღიარების კომისიისათვის ახალი ფოტოკამერის /38651000-CPV/ შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1050 (ათას ორმოცდაათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებას, მისი გადაცემასთან დაკავშირებულ ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს ჩათვლით.
2.3 დაფინანსების წყარო – 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

"მიმწოდებელი" ვალდებულია:
3.1. 2016 წლის 09 სექტემბრამდე უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 1 (ერთი) ცალი ახალი ფოტოკამერის CANON-1300D 18-55 TRANSCEND-SDHC 32GB CLASS 4 მეხსიერების ბარათთან ერთად გადაცემა.
3.2. გადაცემული საქონლის შემოწმებისას უხარისხო საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებაზე თანდართული საგარანტიო ბარათის პირობებითა და ვადაში უზრუნველყოს მისი ახლით, ხარისხიანით შეცვლა.

"შემსყიდველი" ვალდებულია:
3.3. შეამოწმოს გადაცემული საქონლის ხარისხი და დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში მოსთხოვოს მიმწოდებელს მისი ახლით შეცვლა, ხელშეკრულებაზე თანდართული საგარანტიო ბარათის პირობებითა და ვადაში.
3.4. პრეტენზიების არ არსებობის შემთხვევაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ღირებულება ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის შემდეგ, შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1. თუ მიმწოდებელი გადააცილებს 3.1. პუნქტით განსაზღვრულ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის გადაცემის ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
5.2. თუ შემსყიდველი გადააცილებს 4.1 პუნქტით განსაზღვრულ გადახდის ვადას, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.
5.3.საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5.4.იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ს, თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.
5.5.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებების საერთო ღირებულებების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით, ხელშეკრულების მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს დამრღვევ მხარეს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის გადაცემის შემდეგ მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. გარანტია

7.1. გადაცემული ფოტოკამერის საგარანტიო ვადა არის ერთი წელი, რომელიც აითვლება მხარეთა შორის მიღება –ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

7.2. თუ აღნიშნულ ვადაში დაზიანდება გადაცემული საქონელი, რომელიც არ იქნება გამოწვეული გარე მექანიკური ზემოქმედებისაგან ან მისი არასწორი ექსპლუატაციით, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი შეკეთება ან/და საქონლის ახლით შეცვლა.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.

9.6 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მას შემდეგ, რაც მეორე მხარე მისთვის დაწესებულ დამატებით ვადაშიც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

9.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.8. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევენ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.

10.2. გადაცემული საქონლის ნაკვლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირები აფიქსირებენ ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
14.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 26 აგვისტოდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

16. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34,
ს/კოდი: 230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22

მიმწოდებელი:

სს „ელიტ ელექტრონიქსი"
მის: ქ. თბილისი, ქავთარაძის N3
ს/კოდი: 202268928
ა/ა GE69TB0600000120467205
ს/ს „თი ბი სი" ბანკი
ბ/კოდი TBCBGE22

17. მხარეთა ხელმოწერები

ერეკლე კუხიანიძე
მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის დროებითი შემსრულებელი

ლადო ჯობავა
სს „ელიტ ელექტრონიქსი"-ს
გენერალური დირექტორი

შეთანხმებულია:

ეკატერინე აფციაური
საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების
სამსახურის უფროსი